სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2023 წელი

მუხლი 1. შესავალი

1. დოკუმენტში აღწერილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე:

1.1. რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი;

1.2. სისტემური დონის რეგულაციები რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი;

1.3. პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პოზიციები;

1.4. პროცესში ჩართული მხარეები;

1.5. ძირითადი პროცესები:

1.6. კავშირი სხვა პროცესებთან.

მუხლი 2. რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი

1. კურიკულუმი არის დოკუმენტი, რომელიც წარმოაჩენს „გზას“, რომელსაც სპსთავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისი სთავაზობს მოსწავლეს პიროვნული განვითარებისთვის. იგი მოიცავს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ:

1.1. რა საგანმანათლებლო პრინციპებს ეფუძნება სასწავლო პროცესი სკოლაში;

1.2. რა საგნებს და საგანმანათლებლო სერვისებს სთავაზობს სკოლა მოსწავლეს;

1.3. როგორია საათობრივი ბადე და მოსწავლის დატვირთვა სკოლაში;

1.4. რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება სწავლა-სწავლების პროცესი (კონკრეტული საგნების სწავლა-სწავლების მიზნები/შედეგები/მოლოდინები);

1.5. რა სასწავლო რესურსებზე დაფუძნებით ხდება გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა;

1.6. რა მეთოდები დ სტრატეგიები გამოიყენება სასწავლო პროცესში;

1.7. როგორ ხდება მოსწავლეების მიღწევების აღწერა და შეფასება;

1.8. რა მეთოდებსა და მექანიზმებს იყენებს სკოლა კურიკულუმის განვითარებისთვის (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია).

2. კურიკულუმი ფუნქციაა ერთი მხრივ წარმოაჩინოს სპსთავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ტრადიციები და პრიორიტეტები, მეორე მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის დანერგვა მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები.

მუხლი 3. სისტემური დონის რეგულაციები რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი

1. სპსთავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის სასკოლო კურიკულუმს საკვანძო მნიშვნელობა აქვს ზოგადი განათლების რეფორმისთვის. მისი საშუალებით სკოლის დონეზე რეალიზდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნები.

2. მთავარი დოკუმენტი, რომელსაც სასკოლო კურიკულუმი ეყრდნობა არის ეროვნული სასწავლო გეგმა. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოაჩენს მიმართებებს ამ ორი დოკუმენტს შორის

ეროვნული სასწავლო გეგმა	**სასკოლო კურიკულუმი**
სწავლა-სწავლების პრინციპები	სკოლისთვის სავალდებულოა მოთხოვნა - დააფუძნოს სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს
კურიკულუმის მიზნები - ფუნქციურ-კომპონენტური უნარები - აღმზრდელობით-ღირებულებითი ასპექტები - პრიორიტეტული თემები	სკოლა ორიენტირდება ეროვნული კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებზე, თუმცა, აქ მოცემულ კომპონენტებზე დაფუძნებით მან უფრო ფოკუსირებულად უნდა გამოკვეთოს საკუთარი მისია.
საგნობრივი ჯგუფის მიზნები	სკოლა ვალდებულია ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საგნები, თუმცა, საშუალო

სავალდებულო საგნები	საფეხურზე მას შესაძლებლობა აქვს საგანთა განსხვავებული განაწილება შესთავაზოს მოსწავლეებს, რომლებიც მოემსახურება საგნობრივი ჯგუფის მიზნების რეალიზებას; სკოლა მოსწავლეს ასევე სთავაზობს დამატებით სააღმზრდელო-სასწავლო მომსახურებას.
სავალდებულო საგნების სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნები: - საფეხურის შედეგები: - სამიზნე ცნებები სასწავლო თემები და საგნობრივი საკითხები	ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულოდ განსაზღვრავს სავალდებულო საგნების სწავლა-სწავლების მიზნებს (ზოგიერთ საგანში სასწავლო თემებსაც), თუმცა, სკოლამ თავად უნდა შეარჩიოს რა საგნობრივ საკითხებს შესთავაზებს მოსწავლეებს ამ მიზნების მისაღწევად.
სასწავლო რესურსები	სამინისტრო სკოლას ყველა სავალდებულო საგნისთვის სთავაზობს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, თუმცა, საგანმანათლებლო დაწესებულებს შეუძლია გრიფირებული სახელმძღვანელო ჩაანაცვლოს სხვა სახელმძღვანელოთი; საკუთარი შეხედულებისამებრ სასწავლო პროცესი გაამდიდროს დამატებითი სასწავლო რესურსებით
სწავლა-სწავლების მეთოდები და სტრატეგიები შეფასება	ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღწერილია სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლები. ამ საფუძვლების გათვალისწინებით სკოლა თავად ქმნის სწავლებისა და შეფასების ხერხებს, წესებსა და ინსტრუმენტებს.

მუხლი 4. პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პირები (პოზიციები)

1. სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია. მასში უამრავი ადამიანი იღებს მონაწილეობას, თუმცა, პასუხისმგებლობის ცენტრი გადადის კათედრის თავმჯდომარეებზე, სასწავლო პროცესის კოორდინატორზე, რომელიც პასუხს აგებს სასწავლო პროცესზე. ასევე

დირექტორის მოადგილეზე ხარისხის მართვს დარგში, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით იღებს აქტუალურ პასუხისმგებლობებს.

მუხლი 5. პროცესში ჩართული მხარეები

1.სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

2. კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. სკოლამ მშობელთა ინფორმირების გზად შეიძლება გამოიყენოს კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა, ელექტრონული ჟურნალით ან სასწავლო პროცესის მართვის სისტემით (LMS) ინფორმაციის გაზიარება, მათთან კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნა და სხვა).

---

1 დოკუმენტში ტერმინები სასკოლო სასწავლო გეგმა და სასკოლო კურიკულუმი სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება.

2 შენიშვნა: ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობა ნიშნავს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისობას ისეთ დოკუმენტებთან, როგორებიცაა: ა) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები; ბ) ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი (საქართველოს პარლამენტის N1330 კანონი, 8 აპრილი, 2005); გ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ ბრძანება (N69/ნ, 10 აპრილი, 2019).

3. კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებისა და დირექციის უმთავრესი ვალდებულებები უკავშირდება უშუალოდ სასწავლო პროცესს. ეს ფუნქცია-მოვალეობები

მკაფიოდ და კონკრეტულადაა გაწერილი დოკუმენტებში. ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში იკვეთება ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი - მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ.

მუხლი 6. მასწავლებელი

1. სასწავლო პროცესში ჩართული თითოეული პედაგოგი გაკვეთილის ჩატარებასთან ერთად ვალდებულია:

1.1. აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. ამით ის უზრუნველყოფს მონაცემების ბაზის განახლებას, რაც დანერგვის პროცესის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა;

1.2. მონაწილეობა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და მუშაობის პროცესში გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს.

მუხლი 7. კათედრის თავჯმდომარე

1. კათედრის თავმჯდომარე ვალდებულია:

1.1. უზრუნველყოს კათედრის წევრების ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებითა და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების; სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

1.2. შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს (შექმნას დღის წესრიგი, გამოკვეთოს პრობლემური საკითხები);

1.3. უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად;

1.4. დათქმულ ვადებში სკოლის დირექციას მიაწოდოს შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებული მასალები, რომლებიც სასწავლო პროცესის (მოსწავლეების მიღწევები, მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევები) შესახებ შეიცავს ინფორმაციას;

1.5. მონაწილეობა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში; იყოს შუამავალი რგოლი სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის.

მუხლი 8. დირექცია

1. კურიკულუმის დანერგვის პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს, კერძოდ:

1.1. ფასილიტაცია გაუწიოს დანერგვისა და კვლევის ინსტრუმენტებისა და მათი გამოყენების რეჟიმის შეთანხმებას;

1.2. გაამთლიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით;

1.3. უზრუნველყოს სამუშაო შეხვედრების გამართვა კათედრის ხელმძღვანელების მონაწილეობით (შესაძლოა სხვა მასწავლებლების ჩართულობითაც), სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები; შემუშავდება რეკომენდაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად; ინოვაციების დასანერგად;

1.4. მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში (მაგალითად, Japanese Lesson Study- ის რეჟიმში); უზრუნველყოს მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია;

1.5. ხელი შეუწყოს სკოლის ბაზაზე მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას;

1.6. კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება;

1.7. უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირება;

1.8. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებთან/სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებით (წინასწარ შეთანხმებული ფორმით).

1.9. დაეხმაროს სასკოლო საზოგადოების წევრებს თვითშეფასების განხორციელებაში.

1.10. სკოლის დირექტორი ერთობლივად იღებს პასუხისმგებლობას სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესზე.ზემოჩამოთვლილი ფუნქციების შესრულებაში დირექციას დასჭირდება პედაგოგების დახმარება. ეს ფუნქცია მათ შესაძლოა დაეკისროთ დამატებითი ბრძანების საშუალებით.

შენიშვნა: კურიკულუმის განვითარების პროცესში ფუნქციური როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილებისას არ აქვს მნიშვნელობა მასწავლებლის სტატუსს (მენტორი, წამყვანი, უფროსი).

მუხლი 9. ძირითადი პროცესები:

1 კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია. სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

1.1. პროცესის დაწყება: სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე“ .

1.2. პროცესის ეტაპები: კურიკულუმის განვითარება გულისხმობს შემდეგ ფაზებს: (ა) კურიკულუმის შემუშავება, (ბ) დანერგვა, (გ) მონიტორინგი და შეფასება, (დ) გადასინჯვა და რევიზია.

ა) კურიკულუმის შემუშავება

1. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები უნდა შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე:

1.1. რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს ;

1.2. რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად;

1.3. რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად;

1.4. რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში;

1.5. რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის;

1.6. რა მექანიზმებით შეისწავლიან სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობას.

1.7.კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა: შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას;

1.8. შუალედური სასწავლო მიზნებზე მსჯელობა უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დაგეგმვასა და წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. მის ფარგლებში ხდება:

ა) საკითხების შერჩევა, რომელიც ისწავლება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში საფეხურის ფარგლებში (იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეება წინა წლის სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამა);

ბ) საკითხების განსაზღვრა, რომლებიც ისწავლება სხვა საგნის საკითხებთან ინტეგრირებით;

გ) იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით (თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით);

დ) აქტივობებისა და სასწავლო რესურსების აღწერა, რომლებიც ეფექტურად იქნა გამოყენებული წინა წელს შუალედურ სასწავლო მიზანზე მუშაობისას;

ე) თუკი სკოლაში რამდენიმე პარალელური კლასია, პედაგოგები თანხმდებიან თემებისა და ძირითადი საკითხების სინქრონულ განაწილებაზე.

2. კურიკულუმს გეგმავს მთელი კათედრა და არა ერთი მასწავლებელი.

ბ) დანერგვა

1. კურიკულუმის დანერგვა გულისხმობს დაგეგმვის ფაზაში შეთანხმებული გეგმების განხორციელებას და იმ ეფექტების აღწერას, რომელიც დასახულმა გეგმებმა სასკოლო საზოგადოებაზე მოახდინა.

2. კურიკულუმის დანერგვის პროცესი სამ დონეზე აღიწერება: მოსწავლის (ნანო) დონე, მასწავლებლის (მიკრო დონე), სკოლის (მეზო) დონეზე. თითოეულ დონეზე მიმდინარე

პროცესებს მასწავლებლები აღწერენ წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტების მიხედვით.

3. დანერგვის პროცესის აღწერაზე ორიენტირებული ინსტრუმენტების საშუალებით გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება

გ) მონიტორინგი და შეფასება

1.მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები?

2.შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს

3. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

4.კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:

ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
ბ) სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);
გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

დ) გადასინჯვა და რევიზია

1. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ

გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე და ასრულებენ არა უგვიანეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი კვირისა.

2. კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის ეტაპზე უნდა მოხდეს ანალიზი შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში:

ა) რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა/უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას (მათი მხრიდან კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, მოქალაქეობის (ემპათია, პასუხისმგებლობა), ხასიათისა და ნებელობის, კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების გამოვლენას);

ბ) რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეების სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

გ) რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მათ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში;

მოსწავლეთა შედეგები:

ა) რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები; (დიადნოსტიკური წერების შედეგების ანალიზი;)

ბ) რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას;

მშობელთა ჩართულობა:

ა) რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმი (სწავლა-სწავლების მიზნები, სწავლების მეთოდების შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები); რამდენად შეძლეს მათ სკოლის მისიისა და კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან;

ბ) რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მშობლებთან კომუნიკაციას (სასწავლო პროცესში მათ ჩართვას; სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას/გამოკვეთას);

მუხლი 10. კავშირი სხვა პროცესებთან

1. სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან:

1.1. დამხმარე პროცესები პირობითად შეიძლება ვუწოდოთ სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ისეთ სფეროებს როგორებიცაა:

ა) პერსონალის მართვა და განვითარება,

ბ) ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა,

გ) ინფრასტრუქტურის განვითარება,

დ) სასკოლო საზოგადოების ინფორმირება,

ე) მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება.

ამ პროცესებთან მიმართებით გადაწყვეტილებები, როგორც წესი, სასწავლო პროცესის საჭიროებებიდან გამომდინარე მიიღება.

1.2. მმართველობით პროცესები შეიძლება ეწოდოს: ა) სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესს,

ბ) სკოლაში ხარისხის მართვის სისტემის გამართვის პროცესს.

ეს პროცესები კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს.

2. სასკოლო კურიკულუმის განვითარება კავშირშია ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცესებთანაც. მისი წყალობით გროვდება მონაცემები და გამოცდილება, რომლის გათვალისწინებითაც იგეგმება ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მისი დანერგვის პროცესში.

პროცედურები:

პროცედურა: მასწავლებლები წინასწარ შეთანხმებულ რეჟიმში დანერგვის პროცესის ამსახველ მასალებს აგროვებენ და უგზავნიან კათედრის ხელმძღვანელს. კათედრის

ხელმძღვანელის მოვალეობაა ამ მასალების დახარისხება და მის საფუძველზე კათედრის მუშაობის დღის წესრიგის შექმნა.

პროცედურა: სასკოლო საზოგადოების წევრებს ერთმანეთთან შეთანმებული უნდა ჰქონდეთ დიზაინი, რომლის ფარგლებშიც ამ საკითხების შესწავლა იქნება შესაძლებელი.